“სსრ კავშირის თასის” გათამაშება ფეხბურთში
საქართველოს ფეხბურთელებმა კვლავ გაიმარჯვეს

გუშინ, 15 ოქტომბერს, მოსკოვში “დინამოს” ცენტრალურ სტადიონზე შესდგა პირველი ნახევარფინალური მატჩი “სსრ კავშირის თასის” 1946 წლის გათამაშებაზე ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ ჩვენი ქვეყნის უძლიერესი გუნდები – თბილისის “დინამო” და მოსკოვის “ტორპედო”. ყველას ახსოვს აღნიშნული გუნდების უკანასკნელი კალენდარული მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე, რომელიც დაძაბული ბრძოლის შემდეგ დამთავრდა მოსკოველების გამარჯვებით ანგარიშით – 4:3. ეს აძლიერებდა ინტერესს გუშინდელი შეხვედრისადმი. მიუხედავად თოვლიანი ამინდისა, სტადიონი გაივსო ფეხბურთის 70 ათასი მოყვარულით. მატჩის პირველი წუთებიდანვე თბილისელები გადავიდნენ მედგარ იერიშებზე. აშკარად ეტყობოდათ, რომ ისინი იბრძოდნენ რევანშისათვის. მე–8 წუთზე კარის ძელიდან დაბრუნებულ ბურთს მიუსწრო დინამოელმა პანიუკოვმა და პირველი გოლი გაიტანა ”ტორპედოს” კარში. მე–11 წუთზე მოსკოველთა კარში დაინიშნა საჯარიმო დარტყმა. 17 მეტრი მანძილიდან ბორის პაიჭაძის მიერ ძლიერად დარტყმული ბურთი მოიგერია მეკარე აკიმოვმა, მაგრამ მას კვლავ მიუსწრო “დინამოს” თავდამსხმელმა და მეორედ შეარხია მოსკოველთა კარის ბადე. 2:0 თბილისის “დინამოს” სასარგებლოდ. მიუხედავად “დინამოელთა” დიდი უპირატესობისა პირველ ტაიმში ეს ანგარიში არ შეცვლილა.

მეორე ტაიმში თამაშის ტემპი შესამჩნევად შენელდა, ხოლო ბოლო წუთებში ბურთი უმეტესად თბილისელთა საჯარიმო მოედანზე ტრიალებდა. მოსკოველთა გააფთრებულ იერიშებს თბილისელი მცველები სალდაძე, გაგუა და ჭელიძე დიდი ოსტატობით იგერიებდნენ. 38–ე წუთზე მოსკოველებმა მაინც მოახერხეს ერთი საპასუხო ბურთის გატანა ”დინამოს” კარში. თბილისელები კიდევ ერთხელ გადავიდნენ კონტრიერიშზე და ერთ–ერთ ასეთ მომენტში ბორის პაიჭაძემ შორი მანძილიდან ძლიერად გაგზავნა ბურთი “ტორპედოს” კარისაკენ, მაგრამ მოსკოველები იხსნა კარის ძელმა.

ამრიგად, ნახევარფინალური მატჩი თბილისის “დინამოსა” და მოსკოვის “ტორპედოს” შორის დამთავრდა საქართველოს ფეხბურთელთა გამარჯვებით, ანგარიშით – 2:1. თბილისის “დინამოს” ოსტატ–ფეხბურთელთა გუნდი გავიდა “სსრ კავშირის თასის” გათამაშების ფინალურ მატჩში, რომელიც შესდგება 20 ოქტომბერს. თბილისის “დინამოს” წინააღმდეგ ითამაშებს დღეს მოსკოვის ”სპარტაკისა” და კიევის “დინამოს” შორის მატჩში გამარჯვებული გუნდი.

16 ოქტომბერი, 1946 წ.